უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 23 0000046970

18/01/2023

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ტრანსპორტის"რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და საგანმანათლებლო პროგრამაში განხოციელებული ცვლილებების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103 - ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ს/კ: 211349192) "ტრანსპორტის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ "ტრანსპორტის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
3. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 28 დეკემბერს.

4. "ტრანსპორტის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: 0716.1.1 ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი (დეტალური სფერო: 0716 ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები, გემები და საჰაერო ხომალდები)
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 18 იანვრის № 45637 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა